5.02.2014
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მეორე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- ღია მონაცემების პორტალი - 29-30 იანვარს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინიციატივითა და ელექტრონული მმართველობის Twinning პროგრამის ხელშეწყობით გამართული სემინარის მიმოხილვა და მომდევნო ნაბიჯები
    - ნატო გოდერძიშვილი, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
    - Peter Reichstaedter, ელექტრონული მმართველობა საქართველოს Twinning პროგრამის ექსპერტი
- სიახლეები ღია მმართველობის პარტნიორობის სამუშაო ჯგუფების შესახებ.
- სიახლეები ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ.
- OGP საინფორმაციო მასალის განთავსება იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე.
- საჯარო კონსულტაციები სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.
- იუსტიციის სამინისტროს მიერ OGP Support Unit-ის მიერ მოწოდებული სამოქმედო გეგმის ფორმატისა და გაიდლაინების შესაბამისად გაწერილ ვალდებულებათა განხილვა.
- ფორუმის მომხსენებელთა არჩევა.
- სამომავლო გეგებზე შეთანხმება.

2. ღია მონაცემების შესახებ გამართული სემინარის მიმოხილვა

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მორიგი სამუშაო შეხვედრა დაიწყო 29-30 იანვარს ღია მონაცემების შესახებ გამართული სემინარის მიმოხილვით, რომელიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინიციატივითა და ელექტრონული მმართველობის Twinning პროგრამის ხელშეწყობით ჩატარდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ფორუმს ინფორმაცია მიაწოდა სააგენტოს წარმომადგენელმა, ნატო გოდერძიშვილმა, რომელმაც ისაუბრა სემინარზე განხილული საკითხებისა და სამუშაო პროცესების შესახებ, ასევე ფორუმს მიაწოდა ინფორმაცია სემინარების მომდევნო ეტაპზე, რომლის ფარგლებშიც გერმანელი და ავსტრიელი ექსპერტები ისაუბრებენ ღია მონაცემებთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების შესახებ.

ფორუმის წარმომადგენლებს ასევე მიმართა სემინარების ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა Peter Reichstaedter-მა. მან აღნიშნა, რომ სემინარის დამსწრეთა აქტიური მონაწილეობით შეიქმნა საქართველოში ღია მონაცემების შესახებ SWOT ანალიზი და იმ მონაცემთა ერთობლიობის (data sets) პირველადი ჩამონათვალი, რომელთა გამოსაქვეყნებლად, სემინარის დამსწრეთა მოსაზრებით, სახელმწიფო დღევანდელი მდგომარეობით მზად არის.

ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა, ქალბატონმა რუსუდან მიხელიძემ შეახსენა ფორუმის წარმომადგენლებს, რომ სემინარების საფუძველზე, ექსპერტების მიერ შემუშავებული დოკუმენტის - Open Government Data (OGD): Strategic Goals, Action Items and Implementation Plan - პირველადი ვერსია ღიაა კომენტარებისთვის. ფორუმის წევრებმა, კომენტარების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა მიაწოდონ ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ელექტრონულ მისამართზე ogpgeorgia@justice.gov.ge.

მიმოხილვის დასასრულს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა და ჯამპსტარტ ჯორჯიას ექსპერტებს სემინარში მონაწილეობისა და გამოცდილების გაზიარებისთვის და გამოხატა სააგენტოს სურვილი, კვლავ ითანამშრომლოს მათთან მომდევნო სემინარების ფარგლებში.

3. სიახლეები ღაი მმართველობის პარტნიორობის სამუშაო ჯგუფების შესახებ

ფორუმის დამსწრეებს ღია მმართველობის პარტნიორობის სამუშაო ჯგუფებთან დაკავშირებული სიახლეები მიაწოდა ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა. ამ

ეტაპზე საქართველო სამი სამუშაო ჯგუფის წევრია. ესენია: ინფორმაციის თავისუფლების, ღია მონაცემებისა და საპარლამენტო ღიაობის სამუშაო ჯგუფები.

ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნო აქტიურად თანამშრომლობს ინფორმაციის თავისუფლების სამუშაო ჯგუფთან (Access to Information Working Group), რაც მნიშვნელოვანია ინფორმაციის თვისუფლების კანონმდებლობის შემუშავების პროცესში.

ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა აცნობა ფორუმს, რომ სამდივნო თანამშრომლობს პარლამენტთან, რათა მოხდეს ღია მმართველობის პარტნიორობის საპარლამენტო ღიაობის სამუშაო ჯგუფში (Parliamentary Openness Working Group) საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის ჩართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით ფორუმს სიახლეები მომდევნო შეხვედრაზე მიეწოდება.

რაც შეეხება მონაცემთა ღიაობის სამუშაო ჯგუფს (Open Data Working Group), არსებობს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის ექსპერტები ჩაერთონ საქართველოში მიმდინარე ღია მონაცემებთან დაკავშირებულ პროცესებში. ჯგუფის მხრიდან ასევე არსებობს შემოთავაზება, საქართველომ დაასახელოს ექსპერტი, რომელიც ჩაერთვება ჯგუფის სამუშაო პროცესში.

რუსუდან მიხელიძემ ფორუმს ასევე შეახსენა, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივებსა და ღონისძიებებში ჩაერთონ, მათ შორის ვებინარებზე რეგისტრაციის გზით.

4. სიახლეები ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ

რუსუდან მიხელიძემ ფორუმს მიაწოდა ინფორმაცია ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობაზე მუშაობის პროცესის შესახებ. ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს წარმომადგენელმა, ვაკო ნაცვლიშვილმა ფორუმის წევრებს აცნობა, რომ ფონდის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა შეიმუშავეს ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის კონცეფცია, ინფორმაციის თავისუფლების გამოწვევები და საზედამხედველო ორგანოსთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტების განხილვა იგეგმება 13 თებერვალს მრგვალ მაგიდაზე, რომლითაც ოფიციალურად დაიწყება ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო აქტზე მუშაობის პროცესი. OSGF-ის წარმომადგენელმა შეთავაზა ფორუმის წევრებს

ფორუმის ერთ-ერთ სამუშაო შეხვედრაზეც მოხდეს აღნიშნული დოკუმენტების განხილვა.

ინფორმაციის თავისუფლების საკითხს მოჰყვა განხილვა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის შესახებ. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელი ლაშა გოგიძე დაინტერესდა ხომ არ გეგმავს იუსტიციის სამინისტრო გაანალიზოს რამდენად სრულდება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება საჯარო უწყებების მიერ. რუსუდან მიხელიძემ აღნიშნა, რომ ეს არ შედის იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში და ამავდროულად არ არსებობს კონკრეტული უწყება, რომელიც აღნიშნულის შეფასებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. IDFI-მ აღნიშნა, რომ მათ მიერ მომზადებულია შეფასება იმის შესახებ თუ რამდენად შესრულდა მთავრობის განკარგულება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელიც ინტენსიურად ახლდება. IDFI-ს შემოთავაზებაა, ფორუმის ერთ-ერთ შეხვედრაზეც მოხდეს აღნიშნული ანგარიშის წარდგენა. ფორუმის წევრებმა ასევე ისაუბრეს ინფორმაციის თავისუფლებისა და სახელმწიფო რესურსების გონივრული ხარჯვის ურთიერთმიმართებაზეც, რაც განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს, როდესაც გამოთხოვილი ინფორმაცია საჭიროებს არა შესაბამის უწყებაში არსებული ინფორმაციის პირისათვის მიწოდებას, არამედ სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავებას და ამ პროცესის შედეგად „ანალიტიკური დოკუმენტის“ გამზადებას.

5. ღია მმართველობა საქართველოს ბანერი MoJ ვებგვერდზე

ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა ფორუმს აცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს მთავარ გვერდზე ამოქმედდება ბანერი **„ღია მმართველობა საქართველო“**. ამ გვერდზე განთავსდება ინფორმაცია ღია მმართველობა საქართველოსთან დაკავშირებული პროცესების შესახებ. ვებგვერდზე აიტვირთება ფორუმის შეხვედრის ოქმები, საჯარო კონსულტაციის განრიგი, სამოქმედო გეგმა და გეგმის შესრულების ანგარიშები.

6. განხილვა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გასამართი საჯარო კონსულტაციების შესახებ

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ეყრდნობა OGP-ის სახელმძღვანელო პრინციპებსა და გაიდლაინებს (იხილეთ მიმაგრებული დოკუმენტი), რაზე დაყრდნობითაც შემუშავებულ ქნა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დეტალური განრიგი, რომელიც სამდივნომ

წარმოადგინა 26 დეკემბერს გამართულ მრგვალ მაგიდაზე - **ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიში და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა** და რომელიც ფორუმის ფარგლებში გამართული განხილვების შედეგად, მცირედი ცვლილებებით ერთხმად იქნა მიღებული ფორუმის პირველ შეხვედრაზე.

ამავე დროს, იმისათვის რომ პროცესი წარიმართოს იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებს შეიძლება გააჩნდეთ კონსულტაციების პროცესთან დაკავშირებით, სამდივნომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართა თხოვნით, შეემუშავებინათ და ფორუმის პირველ შეხვედრაზე წარმოედგინათ ერთობლივი წინადადებები/ხედვა და რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გასამართი საჯარო კონსულტაციების შესახებ.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის პირველ შეხვედრაზე (იხილეთ თანდართული დოკუმენტი) სამდივნოს ინიციატივით კიდევ ერთხელ იმსჯელეს საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ. სამდივნომ მოუწოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონსულტაციების გამართვაში, ვინაიდან ამ პროცესის უზრუნველსაყოფად მხოლოდ სახელმწიფო რესურსი შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი. არასამთავრობოთა წარმომადგენლები მიესალმნენ ინიციატივას. შესაბამისად, კონსულტაციების გამართვაზე პასუხისმგებლობა აიღო როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ. პირველ შეხვედრაზე ფორუმი შეთანხმდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად შეიმუშავებდნენ საჯარო კონსულტაციების კონკრეტულ გეგმას (ვადები, პასუხისმგებელი პირები, სამიზნე ჯგუფები და ა.შ) და წარადგენდნენ ფორუმის მეორე შეხვედრაზე, 5 თებერვალს.

ფორუმის მეორე შეხვედრაზე არასამთავრობოთა წარმომადგენლებმა ზოგადად ისაუბრეს კონსულტაციების შესახებ და გამოყვეს შემდეგი საკითხები:

- ფორუმს მიაჩნია, რომ კონსულტაციები უნდა დაიწყოს გეგმის პირველადი ვერსიის შემუშავებისთანავე;
- კონსულტაციების განმავლობაში საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია არამხოლოდ კონკრეტული ვალდებულებების შესახებ, არამედ ზოგადად ღია მმართველობის პარტნიორობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ;

- კონსულტაციებთან ერთად უნდა არსებობდეს ონლაინ მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც საზოგადოება შეძლებს კომენტარი გააკეთოს გეგმის სამუშაო ვერსიაზე და ასევე იხილოს სხვა პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

განხილვის დასასრულს ფორუმი შეთანხმდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად შემუშავებულ კონკრეტულ გეგმას სამდივნოს მოაწოდებენ შეხვედრიდან **1 კვირის ვადაში.**

რუსუდან მიხელიძემ აღნიშნა, რომ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი მოწონებულია OGP სამდივნოს მიერ, როგორც ეროვნულ დონეზე კოორდინაციის ეფექტიანი მექანიზმი. მიუხედავად ამისა, სამდივნო ღიაა მიიღოს კონკრეტული შემოთავაზებები და წინადადებები არასამთავრობო ორგანიზაციებისგან პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

7. იუსტიციის სამინისტროს მიერ OGP–ის სამდივნოს მიერ მოწოდებული სამოქმედო გეგმის ფორმატისა და გაიდლაინების შესაბამისად გაწერილ ვალდებულებათა განხილვა

ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა ფორუმს წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებები (1. ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის შემუშავება 2. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მხარდაჭერა), რომელიც OGP–ის სამდივნოს მოთხოვნების მიხედვით არის გაწერილი და მოიცავს პრობლემის აღწერას, ვალდებულების შესრულების ეტაპებს, შესაბამის ვადებს და პასუხისმგებელ პირებს. OSGF-ის რეკომენდაციაა, ვალდებულებებს დაემატოს ინდიკატორები, რათა უფრო მარტივად მოხდეს მათი შესრულების შეფასება.

ფორმატის თვალსაზრისით სამდივნომ ფორუმს ასევე გააცნო ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სამოქმედო გეგმები.

8. ფორუმის თანამომხსენებელთა არჩევა

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს მიერ საჯარო დაწესებულებათა წარმომადგენელ ფორუმის მომხსენებლად დასახელდა იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი რუსუდან მიხელიძე, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებმა მომხსენებლად დაასახელეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორი ბატონი გიორგი კლდიაშვილი. ორივე მომხსენებელი ერთხმად იქნა არჩეული.

9. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

1. 1 კვირის ვადაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ ერთობლივი გეგმა საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ.
2. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე საჯარო კომენტარებისთვის განათავსებს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.
3. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო გააგრძელებს მუშაობას ღია მმართველობის პარტნიორობის სამუშაო ჯგუფებთან და შესაბამის სიახლეებს მიაწვდის ფორუმს.
4. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო დაუკავშირდება 2012–2013 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ იმ უწყებებს, რომელთაც ამ დროისათვის არ წარმოუდგენიათ ახალი ვალდებულებები და უზრუნველყოფს მათთვის ვადების განსაზღვრას.

10. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ:

იუსტიციის სამინისტრო	რუსუდან მიხელიძე, ქეთევან ცანავა, ნატალია ბარათაშვილი
სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ნატო გოდერძიშვილი
"E-Government Georgia"	Johannes Werner, Peter Reichstaedter
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ იუსტიციის სახლი	ირაკლი ლომიძე
საჯარო სამსახურის ბიურო	ქეთევან სამხარაძე
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	დიანა ჩომახაშვილი
ფინანსთა სამინისტრო	ნინო წიქორია
USAID საქართველო	სოფია გურგენიძე, ლუიზა მაკაროვა
ჯამპსტარტ საქართველო	ნინო მაჭარაშვილი
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სულხან სალაძე
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	ლაშა გოგიძე, თამარ გზირიშვილი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	გიორგი კლდიაშვილი, სალომე ჩუხუა

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო	ვაკო ნაცვლიშვილი
ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)	Luis Navarro, ანა ამირანაშვილი

11 . თანდართული დოკუმენტები:

- ფორუმის მეორე შეხვედრის დამსწრეთა სარეგისტრაციო ფორმა
- დღის წესრიგი
- ფორუმის პირველი შეხვედრის ოქმი
- გაიდლაინი საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ

2nd meeting Attendees.pdf

Additional Guidance Consultation 2014.pdf

OGG Forum 1st meeting Minutes - 15 02 14.pdf

OGG Forum 2nd meeting - 5 02 2014 GEO.pdf

OGG Forum 2nd meeting - 5 02 2014.pdf